

შპს „შპს ბ.ა.ლ. გრუპი“

მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. საგურამოში სასარგებლო წიაღისეულის (კირქვა)
გადამამუშავებელი დანადგარის მოწყობა და ექსპლუატაცია

სკრინინგის ანგარიში

მომზადებულია: შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საკონსულტაციო
და საგანმანათლებლო ცენტრი - ეკომეტრის“ მიერ

ეკომეტრი

დირექტორი: თინათინ ჟიჟიაშვილი

სარჩევი

- 1. შესავალი2
- 2. საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა.....3
- 3. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა6
- 4. დაგეგმილი სამუშაოების აღწერა9
- 5. საწარმოს სამუშაო გრაფიკი და სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა.....9
- 6. წყლის გამოყენება და ჩამდინარე წყლები9
 - 6.1 სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგება.....9
 - 6.2 სამეურნეო ჩამდინარე წყლები10
 - 6.3 სანიაღვრე წყლები.....10
- 7. საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზები11
- 8. რაიონის მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება.....11
 - 8.1 კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები11
- 9. ზემოქმედების შეფასება15
 - 9.1 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და ტყის ფონდის მიწებზე15
 - 9.2 სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედება, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები15
 - 9.3 ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე.....16
 - 9.5 ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე17
 - 9.6 ნარჩენების წარმოქმნა და მისი მართვა17
 - 9.7 ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და მასზე ზემოქმედება.....17
 - 9.8 ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება.....18
 - 9.9 ზემოქმედება მიწისქვეშა გრუნტის წყლებზე24
 - 9.10 ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე24
 - 9.11 კუმულაციური ზემოქმედება24
- 10. დანართი 1 - მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.....25
- 11. დანართი 2 - საიჯარო ხელშეკრულება27
- 12. დანართი 3 - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან29

1. შესავალი

შპს „ბ.ა.ლ. გრუპი“ გეგმავს მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. საგურამოში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 72.06.02.039.605), რომელიც კომპანიას იჯარით აქვს აღებული ფ/პ ზაური ცხადაძისგან, მოაწყოს მცირე ზომის სასარგებლო წიაღისეულის (კირქვის) გადამამუშავებელი საწარმო.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის მე-5 პუნქტის, 5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სააგენტო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზმ-ის საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მომზადებული იქნა სკრინინგის განაცხადი.

ცნობები საქმიანობის განმახორციელებლის და იმ საკონსულტაციო კომპანიის შესახებ, რომელიც მონაწილეობდა წინამდებარე სკრინინგის ანგარიშის მომზადებაში მოცემულია ცხრილში N1.

ცხრილი N 1.1 – ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებელი და საკონსულტაციო კომპანიების შესახებ

საქმიანობის განმახორციელებელი	შპს ბ.ა.ლ. გრუპი
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, თემქა, III მ/რ., III კვ., კორ. 41, ბ. 33
კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი	400185759
კომპანიის დირექტორი	დავით ბუიძე
საკონტაქტო ინფორმაცია	599 57 78 17
საქმიანობის სახე	სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავება
საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. საგურამო
საკონსულტაციო კომპანია	შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საკონსულტაციო და საგანმანათლებლო ცენტრი - ეკომეტრი“
საიდენტიფიკაციო ნომერი	405390973
იურიდიული და ფაქტიური მისამართი	თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების ქ. N16
დირექტორი	თინათინ ჟიჟიაშვილი
საკონტაქტო ინფორმაცია	www.ecometer.org.ge E-mail: info@ecometer.org.ge ტელ: 593 044 044; 577 38 01 13

2. საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა

როგორც შესავალ ნაწილში აღინიშნა, შპს „ბ.ა.ლ. გრუპი“ მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. საგურამოში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 72.06.02.039.605), რომელიც კომპანიას იჯარით აქვს აღებული (იჯარის დამადასტურებელი ხელშეკრულება იხ. დანართი N2), გეგმავს სასარგებლო წიაღისეულის (კირქვა) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობას. მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი შეადგენს 5429 მ²-ს. აღნიშნული ნაკვეთი ბეტონის ღობით გაყოფილია ორ ნაწილად, ერთ ნაწილზე განთავსებულია სამეურნეო ტიპის ორი შენობა, რომლებიც ამ ეტაპზე უფუნქციოა, ხოლო მერე ნაწილზე (დაახლოებით 2500 მ² ტერიტორიაზე) დაგეგმილია კირქვის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურით. დანადგარის განთავსების მიახლოებითი GPS კოორდინატები შემდეგია:

X	Y
478923.00	4638646.00

ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 240 მ-ში, ხოლო უშუალოდ დანადგარიდან დაახლოებით 320 მ-ში მდებარეობს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით: 72.06.02.038.612, რომელზეც განთავსებულია ფარდულის ტიპის სასაწყობე შენობა. ამასთან, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 320 მ-ში, ხოლო უშუალოდ დანადგარიდან დაახლოებით 400 მ-ში მდებარეობს გიორგი ცოცხალაშვილის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული საცხოვრებელი სახლით (ს/კ: 72.06.03.042.600). საპროექტო ტერიტორიას სამხრეთით ესაზღვრება სააქციო საზოგადოება „ქართული ლუდის კომპანია“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი „ზედაზენის“ ქარხანა. დასავლეთით ესაზღვრება - შპს „ელენე“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია ამ ეტაპზე უფუნქციო შენობა-ნაგებობა. მიწის ნაკვეთიდან დაახლოებით 300 მეტრში მდებარეობს შპს „ჯორჯიან ქონქრით ქლაბ LLC Georgian Concrete Club“-ის საკუთრებაში არსებული ტერიტორია, რომლის საქმიანობის სფეროსაც წარმოადგენს სამშენებლო მასალებით ვაჭრობა. საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 1.25 კმ-ში მიედინება მდ. არაგვი. ხოლო ტერიტორიიდან დაახლოებით 500 მეტრში მდებარეობს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია წყალსაცავები. უახლოესი დაცული ტერიტორია - თბილისის ეროვნული პარკი, ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 900 მეტრი მანძილით.

მიწის ნაკვეთიდან დაახლოებით 700 მეტრში მდებარეობს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წინამური-საგურამო-ცხვარიჭამიას საავტომობილო გზა. უშუალოდ საპროექტო მიწის ნაკვეთამდე მიდის

გრუნტის გზა, რომელიც უერთდება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მაგისტრალს და დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. მიწის ნაკვეთებამდე მიყვანილია ელექტრო ენერგია.



სურ. N2 - ობიექტის განთავსების სიტუაციური რუკა

3. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა

სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი დანადგარის და მისი შემადგენელი კომპონენტების განთავსება დაგეგმილია გადახურულ, ერთსართულიან, რკინის კონსტრუქციის შენობაში, რომელიც მოეწყობა ბეტონის საძირკველზე, დაახლოებით 756 მ² ფართობზე (სიგრძე - 42 მ, სიგანე 18 მ, სიმაღლე - 10 მ). ტერიტორიაზე ასევე მოეწყობა მუშა პერსონალისთვის განკუთვნილი ერთსართულიანი მსუბუქი კონსტრუქციის (სენდვიჩ-პანელებით) ნაგებობა დაახლოებით 60 მ² ფართობის მქონე ტერიტორიაზე. ხოლო ტერიტორიის დარჩენილი პერიმეტრი მოიხრეშება.

**ცხრილი N3.1 - შენობის (სადაც მოეწყობა დანადგარი) განთავსების
მიახლოებითი GPS კოორდინატები:**

	X	Y
1	478938.00	4638653.00
2	478932.00	4638636.00
3	478892.00	4638646.00
4	478896.00	4638664.00

**ცხრილი N3.2 - მუშა-პერსონალისთვის განკუთვნილი შენობის განთავსების
მიახლოებითი GPS კოორდინატები:**

	X	Y
1	478865.00	4638673.00
2	478877.00	4638672.00
3	478876.00	4638667.00
4	478864.00	4638668.00

კომპანია სასარგებლო წიაღისეულს (კირქვა, ზომით - 15-25 მმ) შემოტანას გეგმავს დედოფლისწყაროში განთავსებული სხვადასხვა ლიცენზირებული კარიერებიდან. საწარმოში მოხდება სასარგებლო წიაღისეულის (კირქვა) დაფქვა და სხვადასხვა ფრაქციების (25 მიკრო - 48 მიკრო - 75 მიკრო) პროდუქციის მიღება.

საწარმო აღჭურვილი იქნება თანამედროვე დანადგარ - მოწყობილობით და საწარმოს ოპერირების ტექნოლოგიური რეჟიმი სრულად დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

დანადგარი რომლის განთავსებაც იგეგმება საპროექტო ტერიტორიაზე შედგება შემდეგი ძირითადი დეტალებისა და კვანძებისაგან:

- ინერტული მასალის მიმღები ბუნკერი;
- ჩაქურჩის ტიპის სამსხვრევი;
- დახურული ელევატორი (მილის ტიპის);
- საფქვაკი წისქვილი;
- სახელოიანი ფილტრები;
- ციკლონი;
- დაფქული ინერტული მასალის დამხარისხებელი;


პროცესის ძირითადი ოპერაციები შეიძლება გამოისახოს ქვემოთ მოყვანილი მიმდევრობით: საწარმოში ნედლეულის შემოტანა მოხდება ავტოთვითმცლელელებით, საიდანაც ჩაიყრება მიმღებ ბუნკერში. იმის გამო, რომ შემოტანილი ნედლეული მცირე ზომისაა (კირქვა, ზომით - 15-25 მმ) მსუბუქი დარტყმით მოხდება მისი დამტვრევა ჩაქურჩისებურ სამსხვრევში. ამის შემდეგ, ელევატორის საშუალებით გადავა წისქვილის მიმღებ ბუნკერში, საიდანაც ასევე ელევატორის საშუალებით გადავა დასაფქვავ წისქვილში. აღნიშნულ წისქვილს შეუძლია სხვადასხვა ფრაქციის მქონე პროდუქციის გამოშვება, შესაბამისად, წისქვილიდან სეპარატორის საშუალებით მოხდება იმ ზომის ფრაქციის გამოსვლა, რომელიც წინასწარ იქნება პროგრამულად მითითებული. მიღებული პროდუქცია განთავსდება სასაწყობო მოედნებზე.

საწარმო ატყურვილი იქნება სახელოებიანი ფილტრით და ასევე ციკლონით, რომელთა დაჭერის ეფექტურობა 99.8%-ია. ციკლონში და ასევე სახელოებიან ფილტრში დაჭერილი მტვერი, წარმოადგენს ძვირფას პროდუქტს და კომპანია განახორციელებს მის რეალიზაციას.

საწარმოში დანერგილი იქნება ჰაერის მოძრაობის თითქმის სრულად ჩაკეტილი ციკლი, ციკლონების და სახელოიანი ფილტრების გამოყენებით. ტექნოლოგია საინტერესოა იმით, რომ ჰაერის გატყორცნა ატმოსფეროში პრაქტიკულად არ მოხდება, წარმოების ბოლო ეტაპზე სახელოებიან ფილტრში გაწმენდილი ჰაერი შეიწოვება ვენტილატორის საშუალებით, საიდანაც მოხდება პროდუქციის ამოღება. ამასთან, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საწარმოო დანადგარის მოწყობა დაგეგმილია სრულად დახურულ შენობაში, ამასთან ნედლეულის და მიღებული პროდუქციის დასაწყობებაც მოხდება ამავე შენობაში. შესაბამისად, მავნე ნივთიერებების ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა ფაქტობრივად არ მოხდება.

საწარმოში დაგეგმილია დღეში დაახლოებით 100 ტონა ნედლეულის გადამუშავება, რაც თვეში 3000 ტონას, ხოლო წელიწადში დაახლოებით 36 000 ტონას შეადგენს. ვინაიდან საწარმო იმუშავებს დანაკარგის გარეშე აღნიშნული რაოდენობის გადამუშავებით საშუალოდ დღეში მიიღება 100 ტონა, ხოლო წელიწადში 36 000 ტონა პროდუქცია.

საწარმო საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით აღჭურვილი იქნება ცეცხლმაქრებით, განთავსდება სახანძრო ინვენტარი და სხვა მოთხოვნილი, სავალდებულო საშუალებები.



სურ. N3.1 - საწარმოო ობიექტის გენ. გეგმა

4. დაგეგმილი სამუშაოების აღწერა

კომპანია გეგმავს ერთსართულიანი რკინის კონსტრუქციის მქონე ნაგებობის მოწყობას, სადაც განთავსდება კირქვის საფეკვაი დანადგარი, მასში შემავალი ტექნიკური ელემენტებით. ამასთან, დაგეგმილია მუშა-პერსონალისთვის განკუთვნილი სენდვიჩ-პანელების მსუბუქი კონსტრუქციის მოწყობა. უშუალოდ დანადგარი ტერიტორიაზე შემოვა დაშლილ მდგომარეობაში და მოხდება მისი აწყობა. საწარმოს მოწყობის სამუშაოებისთვის გათვალისწინებულია დაახლოებით 3 თვე. მოწყობის სამუშაოები განხორციელდება დღის საათებში, კანონმდებლობის სრული დაცვით.

5. საწარმოს სამუშაო გრაფიკი და სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა

კირქვის საფეკვაი დანადგარი იმუშავებს ყოველდღე, 20 საათიანი სამუშაო რეჟიმით. ობიექტზე დასაქმებული იქნება დაახლოებით 10 ადამიანი.

საპროექტო ტერიტორიაზე ნედლეულის შემოტანა მოხდება საჭიროებისამებრ, დედოფლისწყაროდან. რაც შეეხება მზა პროდუქციის ტრანსპორტირებას, მისი გატანა ტერიტორიიდან მოხდება გარკვეული პროდუქციის დაგროვების შემდგომ. შესაბამისად, სამუშაო საათების განმავლობაში, ძირითადად დღის მონაკვეთში, განხორციელდება დაახლოებით 2-3 სატრანსპორტო რეისი, კომპანიის საკუთრებაში არსებული ცემენტმზიდი ცისტერნით.

კომპანიის მანქანები შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მაგისტრალზე მოხვებიან ტერიტორიასთან არსებული გრუნტის გზით. როგორც აღინიშნა, ტერიტორიიდან პროდუქციის გატანა განხორციელდება დღის საათებში.

6. წყლის გამოყენება და ჩამდინარე წყლები

6.1 სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგება

საწარმოში წყლის გამოყენება მოხდება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით. ტექნოლოგიური პროცესისთვის წყლის გამოყენება საჭირო არ არის. სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალმომარაგება განხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან. აღნიშნული მიზნით გამოყენებული წყლის რაოდენობა დამოკიდებულია დასაქმებული პერსონალის რაოდენობაზე და საწარმოს მუშაობის რეჟიმზე. საწარმოში დასაქმებული იქნება ჯამში 10 ადამიანი, ხოლო წელიწადში სამუშაო დღეების რაოდენობა შეადგენს 360 დღეს. ვინაიდან ერთ მომუშავე პერსონალზე სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის დღის განმავლობაში საჭირო წყლის რაოდენობად გათვალისწინებულია 45 ლ, ანუ 0,045 მ³ წყალი, დღის და წლის განმავლობაში საწარმოში სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის ჯამური რაოდენობა იქნება:

სასმელ - სამეურნეო წყალი:

$$10 \text{ კაცი} \times 0,045 \text{ მ}^3/\text{დღ} = 0,45 \text{ მ}^3 / \text{დღ}$$

$$0,45 \text{ მ}^3 / \text{დღ} \times 360 \text{ დღ} = 162 \text{ მ}^3 / \text{წელ}$$

6.2 სამეურნეო ჩამდინარე წყლები

საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების რაოდენობა იანგარიშება მოხმარებული წყლის 5%-იანი დანაკარგით, რაც შეადგენს: $162 \text{ მ}^3/\text{წელ} \times 0,05 = 8,1 \text{ მ}^3/\text{წელ}$ (წლიური დანაკარგი) შესაბამისად, საწარმოში წლის განმავლობაში წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლის რაოდენობა იქნება:

$$162 \text{ მ}^3/\text{წელ} - 8,1 \text{ მ}^3/\text{წელ} = 153,9 \text{ მ}^3/\text{წელ}$$

აღნიშნული საკანალიზაციო წყლების ჩაშვება მოხდება ადგილობრივ საკანალიზაციო ქსელში.

6.3 სანიაღვრე წყლები

რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილ სანიაღვრე წყლებს, **გავა გრუნტში**, რადგან საწარმოში არ მიმდინარეობს ისეთი საქმიანობა, რაც იწვევს მათ პოტენციურ დაბინძურებას.

სანიაღვრე წყლების რაოდენობის გაანგარიშება ხდება ფორმულით:

$$Q=10 \times F \times H \times K$$

სადაც:

Q არის სანიაღვრე წყლების მოცულობა კუბ.მ/დღ.

F - საწარმოს ტერიტორიის ის ფართობი, სადაც მოხდება სანიაღვრე წყლების შეგროვება (ჰექტარში). მოცემული საწარმოსთვის ფართობი რომელზედაც მოსალოდნელია სანიაღვრე წყლების წარმოქმნა შეადგენს დაახლოებით 1 684 კვ.მ-ს ანუ, 0.17 ჰა-ს;

H - ნალექების რაოდენობაა და მიღებულია სამშენებლო ნორმების და წესების „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ 01.05-08) მიხედვით, კერძოდ: საგურამოს მონაცემების მიხედვით ნალექების მაქსიმალური რაოდენობა მიღებულია 603 მმ/წელ. ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი შეადგენს 122 მმ. წვიმის საათური მაქსიმუმი იქნება - 10 მმ.

K - კოეფიციენტი, რომელიც დამოკიდებულია საფარის ტიპზე და მოცემულ შემთხვევაში შეადგენს 0,09. აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოში წარმოქმნილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების რაოდენობა იქნება:

$$Q_{\text{წელ}} = 10 \times 0,17 \times 603 \times 0,09 = 92,259 \text{ კუბ.მ} / \text{წელ.}$$

$$Q_{\text{დღ}} = 10 \times 0,17 \times 122 \times 0,09 = 18,666 \text{ კუბ.მ} / \text{დღ.}$$

$$Q_{\text{სთ}} = 10 \times 0,17 \times 10 \times 0,09 = 1,53 \text{ კუბ.მ} / \text{სთ}$$

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საწარმოო პროცესი განხორციელდება გადახურულ შენობაში, ამასთან მიმდებარე ტერიტორია მოიხრეშება, რაც მინიმუმამდე დაიყვანს სანიაღვრე წყლების რაიმე სახით დაბინძურებას.

7. საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზები

საწარმოს ტერიტორიიდან პროდუქციის გასატანად, გამოიყენება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წინამური-საგურამო-ცხვარიჭამიას ავტომაგისტრალი, რომელიც მიწის ნაკვეთამდე შემომავალ გრუნტის გზას უერთდება (იხ. სურ N2). აღნიშნული გზა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და არ საჭიროებს დამატებით სარემონტო სამუშაოებს.

8. რაიონის მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება

სოფ. საგურამო ადმინისტრაციულად ეკუთვნის მცხეთის მუნიციპალიტეტს, რომელსაც დასავლეთით ესაზღვრება კასპის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით ღუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით გარდაბნისა და თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტები და ქალაქი თბილისი. მუნიციპალური და რეგიონის ცენტრია ქალაქი მცხეთა. მცხეთის დედაქალაქად ქვევაში დიდი როლი ითამაშა მისმა ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. აქ იყრიდა თავს გზები დასავლეთ საქართველოდან, მესხეთიდან, სომხეთიდან, ალბანეთიდან, ჩრდილო კავკასიიდან; აქ გადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო გზები: აბრეშუმის გზა, აქლემის გზა და ცხვრის გზა. მცხეთის მუნიციპალიტეტი მოქცეულია ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქში. მუხრან-საგურამოს ვაკეზე ჰავა ზომიერად ნოტიოა, იცის ცხელი ზაფხული და ზომიერად ცივი ზამთარი. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 10,8°C, ნალექიანობა - 590 მმ წელიწადში. მთის ქედებზე კი ჰავა შედარებით გრილია. საშუალო მთის ზონაში კლიმატი ზომიერად ნოტიოა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული. მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2014 მდგომარეობით 47 711 კაცია. მცხეთის მუნიციპალიტეტში 63 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 1 ქალაქი (მცხეთა) და 62 სოფელი.

სოფ. საგურამო მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, მცხეთის მუნიციპალიტეტში, თბილისის ჩრდილოეთით, მდინარე არაგვის მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან 550 მეტრ სიმაღლეზე, მცხეთიდან 10 კმ-ში.

8.1 კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები

საკვლევი ტერიტორია, სამშენებლო კლიმატოლოგიის მიხედვით (პნ 01.05.08) შედის II-ბ რაიონში, ზომიერად ცივი ზამთარით და გრილი ზაფხული. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 10,7°C. წლის ყველაზე ცივი თვე იანვარია, საშუალო ტემპერატურით -1,0°C, აბსოლუტური მინიმუმია -26°C. ყველაზე თბილი თვე აგვისტოა, საშუალო ტემპერატურა 22,0°C. აბსოლუტური მაქსიმუმით 39,0°C. საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა 68%, მაქსიმალური ფიქსირდება დეკემბერში (76%), მინიმალური

ივლისში (59%). მოსული ატმოსფერული ნალექების ჯამი 603მმ. დღე-ღამური ატმოსფერული ნალექის მაქსიმუმი 122მმ-ია. თოვლის საფარიანი დღეთა რაოდენობა საშუალოდ 29 დღეა. თოვლის წონა 0,5 წლის განმავლობაში გაბატონებული ქარების მიმართულება განედურია და სუბგანედურია, უფრო ხშირია აღმოსავლეთის (20%), შედარებით ნაკლები და თანაბარი ინტენსივობისაა ჩრდილო-აღმოსავლეთის და სამხრეთის მიმართულების ქარები 173%). სამხრეთ-აღმოსავლეთის და დასავლეთის მიმართულების ქარების ხვედრითი წილი თანაბარია და ტოლია 12%. ქარზე დაკვირვებათა საერთო რიცხვის 35% მოდის შტილზე. ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობებია 5 წელიწადში ერთხელ 0,3; 15 წელიწადში-0,38კპა. ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელია 1, 5, 10, 15 და 20 წელიწადში ერთხელ, შესაბამისად 24, 28, 30, 32 და 33მ/წმ. გრუნტის სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღმეა: თიხიან და თიხნარ გრუნტში 23; წვრილ და მტვრისებრ ქვიშებსა და ქვიშნარ გრუნტში 28; საშუალო, მსხვილ და ხრეშოვანი ქვიშიან გრუნტში 30, ხოლო მსხვილნატეხოვან გრუნტში 34სმ.

ცხრილი N 8.1.1- სამშენებლო-კლიმატური რაიონების მახასიათებლები

პუნქტის დასახელება	კლიმატური რაიონები	კლიმატური ქვერაიონები	იანვრის საშუალო ტემპერატურა, °C	ზამთრის 3 თვის ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წ	ივლისის საშუალო ტემპერატურა, °C	ივლისის ფარდობითი ტენიანობა, %
საგურამო	II	IIბ	-5-დან -2-მდე	-	+21-დან +25-მდე	-

ცხრილი N8.1.2 - ჰაერის ტემპერატურა

№	ჰუნქტების დასახელება	გარე ჰაერის ტემპერატურა, °C														პერიოდი <8°C საშუალო		საშუალო ტემპერატურა						
		თვის საშუალო																						
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	წლის საშუალო	აბსოლუტური მინიმუმი	აბსოლუტური მაქსიმუმი	ყველაზე ცხელი თვის საშუალო	ყველაზე ცივი თვის საშუალო	ყველაზე ცივი პერიოდის საშუალო	ყველაზე ცივი პერიოდის საშუალო	საშუალო ტემპერატურა	ყველაზე ცივი თვის საშუალო		
1	საგურამო	-1,0	0,5	4,9	10,1	15,4	19	21,9	22,0	17,6	12,1	6,1	0,9	10,8	-26	39	29,7	-10	-13	-1,1	151	2,2	1,6	27,7

ცხრილი N8.1.3 - ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა

№	ჰუნქტების დასახელება	თვის საშუალო, °C												თვის მაქსიმალური, °C											
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	საგურამო	6,6	7,8	9,7	11,3	11,2	10,8	9,0	9,5	10,1	9,7	8,0	6,7	16,5	17,0	24,2	24,2	21,2	22,0	17,6	17,9	21,2	19,8	15,6	18,8

ცხრილი N 8.1.4 - ჰაერის ფარდობითი ტენიანობა

N	ჰუნქტების დასახელება	გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %													საშ. ფარდ. ტენიანობა 13		ფარდ. ტენიანობის საშ. დღელდამური ამპლიტუდა	
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	წლის საშუალო	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის		
1	საგურამო	73	71	68	66	67	63	59	67	69	68	73	76	68	60	40	22	32

ცხრილი N 8.1.5 - ნალექების რაოდენობა

N	პუნქტების დასახელება	ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღედამური მაქსიმუმი, მმ
1	საგურამო	603	122

ცხრილი N 8.1.6 - თოვლის საფარი

N	პუნქტების დასახელება	თოვლის საფარის წონა, კვა	თოვლის საფარის დღეთა რიცხვი	თოვლის საფარის წყალშემცველობა, მმ
1	საგურამო	0,50	29	-

ცხრილი N 8.1.7 - ქარის მახასიათებლები

N	პუნქტების დასახელება	ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1,5,10,15,20 წელიწადში ერთხელ, მ/წმ					ქარის მიმართულების განმეორებადობა (%) იანვარი, ივლისი								ქარის საშუალო, უდიდესი და უმცირესი სიჩქარე წელიწადში მ/წმ												
		1	5	10	15	20	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	იანვარი	ივლისი	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი		
1	საგურამო	24	28	30	32	33	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

ცხრილი N 8.1.8 - გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ

N	პუნქტების დასახელება	თიხვანი და თიხნარი	წვრილი და მტკრისებრი ქვიშის ქვიშნარი	მსხვილი და სამ. სიმსხვილის ხრეშისებური ქვიშის	მსხვილნატეხი
1	საგურამო	23	28	30	34

9. ზემოქმედების შეფასება

9.1 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და ტყის ფონდის მიწებზე

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დაცული ტერიტორია, თბილისის ეროვნული პარკი, დაშორებულია დაახლოებით 900 მეტრი მანძილით. დაშორების მანძილის და იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს ტექნოლოგიური ციკლი დაეგმილია მთლიანად დახურულ შენობაში, პროექტის განხორციელების ეტაპზე, დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ხოლო რაც შეეხება ტყის ფონდის მიწებს, ისინი ტერიტორიასთან სიახლოვეს არ მდებარეობს, აქედან გამომდინარე ტყის ფონდსა და მის გარემოზე რაიმე სახის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

9.2 სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედება, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები

საპროექტო ტერიტორი კომპანიას იჯარით აქვს აღებული და შესაბამისად საქმიანობის განხორციელება ფიზიკურ და ეკონომიკურ განსახლებასთან დაკავშირებული არ არის.

იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული მომსახურე პერსონალის და ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარკვეული რისკები, პრევენციის მიზნით კომპანია მკაცრად დაიცავს უსაფრთხოების ნორმებს საწარმოს ტერიტორიაზე.

საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი ფაქტურად გამორიცხულია, ვინაიდან საწარმოში გადასამუშავებლად მიღებული ნედლეული და ასევე გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქცია წარმოადგენს ბუნებრივ მასალას, რომელიც არ განიცდის მნიშვნელოვან ფიზიკურ, ქიმიურ ან ბიოლოგიურ ცვლილებებს, არ ხასიათდება ხსნადობით, არ იწვევს და არ შედის სხვაგვარ ქიმიურ ან ფიზიკურ რეაქციაში, არ განიცდის ბიოდეგრადაციას და სხვა მასალაზე არ ახდენს ისეთ გავლენას, რომელიც გამოიწვევს გარემოს დაბინძურებას ან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებას.

ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, საწარმოში დაწესდება უსაფრთხოების წესები და მომსახურე პერსონალი აღჭურვილი იქნება ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

აღსანიშნავია, რომ მთლიანი ტექნოლოგიური პროცესი დაეგმილია გადახურულ რკინის კონსტრუქციის შენობაში.

რაც შეეხება, საწარმოს მიზნებისთვის პროდუქციის ტრანსპორტირებით გამოწვეულ ზემოქმედებას, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კომპანიის ავტოსატრანსპორტო საშუალებები იქნება დახურული ტიპის,

ამასთან კომპანია დააწესებს მუდმივ მონიტორინგს ავტო სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მდგომარეობაზე და გადაადგილების სიჩქარეზე.

საწარმოში დასაქმდება დაახლოებით 10 ადამიანი, რაც მნიშვნელოვანი გარემოებაა სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით და სოციალურ გარემოზე დადებითი შედეგის მომტანია.

9.3 ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე

საწარმოს ტერიტორია მრავალი წლის განმავლობაში განიცდიდა ანთროპოგენურ ზემოქმედებას, შესაბამისად არ წარმოადგენს ცხოველთათვის ხელსაყრელ საბინადრო გარემოს და მათზე რაიმე სახის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

უშუალოდ საწარმოს განთავსების ტერიტორია თავისუფალია ხე-მცენარეული საფარისგან და შესაბამისად მცენარეულ საფარზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

9.4 ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედება

როგორც უკვე აღინიშნა ტერიტორიაზე დაგეგმილია რკინის კონსტრუქციის შენობა-ნაგებობის მშენებლობა (დაახლოებით 756 მ² ფართობზე), რომლისთვისაც საჭირო იქნება საძირკვლის მოწყობა. შესაბამისად პროექტი განხორციელების ეტაპზე საჭირო იქნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, რომლის სიმძლავრეც შეადგენს 0,10 მ-ს. ჯამურად მოხდება 75,6 მ³ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, რომელიც დასაწყობდება საპროექტო ტერიტორიაზევე.

$$756 \text{ მ}^2 \times 0.10 \text{ მ} = 75.6 \text{ მ}^3$$

ნიადაგის მოხსნა, დასაწყობება, რეკულტივაცია და კონსერვაცია განხორციელდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული, „ნიადაგის ნაყოფიერების დონის განსაზღვრის“ და „ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების მონიტორინგის“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პირობებისა და ასევე „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

რაც შეეხება გრუნტს, რომლის ამოღებაც მოხდება საძირკვლის მოწყობის ეტაპზე დაახლოებით 60 მ³-ს, შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა მუნიციპალიტეტს.

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ქიმიური მასალების, ნავთობპროდუქტების და სხვა სახის სახიფათო ნივთიერებების გამოყენება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მიმდებარე ტერიტორიების პოტენციური დაბინძურება დაგეგმილი არ არის. ამასთან მნიშვნელოვანია ნარჩენების სწორი მენეჯმენტი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნარჩენებით გარემოს და მითუმეტეს ნიადაგის დაბინძურება. როგორც უკვე აღინიშნა სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის, ხოლო საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის

გამოყენებული იქნება ადგილობრივი მუნიციპალური სამსახურის ურნები, რომელიც გატანილი იქნება მუნიციპალური სამსახურის მიერ მათთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხოლო, რაც შეეხება სამეურნეო ფეკალურ წყლებს, მისი ჩაშვება მოხდება ადგილობრივ საკანალიზაციო ქსელში.

ამასთან, დაგეგმილია შენობის მიმდებარე ტერიტორიის მოხრეშვა. იმ შემთხვევაში თუ რაიმე სახით მოხდება ტერიტორიის დაბინძურება სახიფათო ნივთიერებით, დაბინძურებული ხრეშის ფენა მოიხსნება, მოთავსდება შესაბამის კონტეინერში და მისი მართვა მოხდება, როგორც სახიფათო ნარჩენი.

9.5 ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

საპროექტო ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს არ მდებარეობს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, შესაბამისად აღნიშნულზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის და საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენის ალბათობა თითქმის არ არსებობს, თუმცა საწარმოს ტერიტორიაზე რაიმე სახის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში დამკვეთის მოთხოვნით სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

9.6 ნარჩენების წარმოქმნა და მისი მართვა

საწარმოს მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რისთვისაც ტერიტორიაზე განთავსდება შესაბამისი დასტიკერებული კონტეინერები და აღნიშნული ნარჩენების მართვა მოხდება კანონმდებლობის სრული დაცვით.

არასახიფათო ნარჩენებიდან საპროექტო ტერიტორიაზე მოსალოდნელია შერეული მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნა, რომელთა წლიური რაოდენობა არ გადააჭარბებს 2 მ³-ს. აღნიშნული ნარჩენის განთავსების მიზნით საწარმოს ტერიტორიაზე განთავსდება შესაბამისი კონტეინერი. ნარჩენების გატანას და ტრანსპორტირებას განახორციელებს ადგილობრივი მუნიციპალური სამსახური.

9.7 ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და მასზე ზემოქმედება

საწარმოს მოწყობის სამუშაოები გაგრძელდება დაახლოებით 3 თვე და განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში, კანონმდებლობის სრული დაცვით. შესაბამისად საწარმოს მოწყობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოში დანერგილი იქნება ჰაერის მოძრაობის თითქმის სრულად ჩაკეტილი ციკლი ციკლონების და სახელოიანი ფილტრების გამოყენებით. ტექნოლოგია საინტერესოა იმით, რომ ჰაერის გატყორცნა ატმოსფეროში პრაქტიკულად არ მოხდება, წარმოების ბოლო ეტაპზე სახელოებიანი ფილტრში გაწმენდილი ჰაერი შეიწოვება ვენტილატორის საშუალებით, საიდანაც მოხდება პროდუქციის ამოღება. ასევე, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საწარმოო დანადგარის მოწყობა დაგეგმილია სრულად დახურულ შენობაში, ამასთან ნედლეულის და მიღებული პროდუქციის დასაწყობებაც მოხდება ამავე შენობაში. შესაბამისად, მავნე ნივთიერებების ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა ფაქტობრივად ადგილი არ ექნება.

9.8 ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება

ხმაურის დონის ნორმების დაცვა რეგულირდება ტექნიკური რეგლამენტით „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №398).

ეს ტექნიკური რეგლამენტი ადგენს აკუსტიკური ხმაურის დასაშვებ ნორმებს საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და განაშენიანების ტერიტორიაზე, ხმაურის არახელსაყრელი ზემოქმედებისაგან ადამიანების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

წინამდებარე ტექნიკური რეგლამენტი არ ვრცელდება:

- დასაქმებულთა მიმართ სამუშაო ადგილებზე და სამუშაო გარემოში წარმოქმნილ ხმაურზე;
- საავიაციო, სარკინიგზო (მათ შორის, მეტროპოლიტენის), საზღვაო და საავტომობილო ინფრასტრუქტურაზე;
- საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით გარანტირებული ადამიანის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ დონისძიებებზე;
- დღის საათებში მიმდინარე სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებზე;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან შეთანხმებულ დასვენების, კულტურისა და სპორტის საჯარო დონისძიებებზე;
- საღმრთო მსახურების ჩატარებაზე, სხვადასხვა რელიგიური წეს-ჩვეულებებისა და ცერემონიების დროს განხორციელებულ აქტივობებზე.

ტექნიკური მოთხოვნები

1. ამ დოკუმენტით განსაზღვრული მიზნიდან გამომდინარე (ხმაურის დონის ექსპერტული შეფასება), ნორმირებადი პარამეტრია ხმაურმზომის A სკალით გაზომილი ბგერის დონე LA და A მულტიპლი ხმაურის, ხოლო ბგერის ეკვივალენტური დონე LA_{ეკვ} და A – არამულტიპლი ხმაურის შემთხვევაში;
2. საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და განაშენიანების ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები (ბგერის დონეები) განსაზღვრულია №1 დანართით;
3. აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები განსხვავებულია დღის (08:00 სთ-დან 23:00 სთ-მდე) და ღამის (23:00 სთ-დან 08:00 სთ-მდე) პერიოდებისათვის.

ხმაურის მაჩვენებლები საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და განაშენიანების ტერიტორიებზე

1. აკუსტიკური ხმაურის დონის გაზომვის შედეგების ჰიგიენური შეფასება (სანიტარიულ-ჰიგიენური ექსპერტიზა) ტარდება ამ დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც ემყარება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს (მაგ., ISO 1996-1: 2003.“
2. აკუსტიკა. გარემოს ხმაურის დახასიათება, გაზომვა და შეფასება“, ნაწილი 1. „შეფასების ძირითადი სიდიდეები და პროცედურები“; ISO 1996-2: 2007“ აკუსტიკა. გარემოს ხმაურის დახასიათება და გაზომვა“, ნაწილი 2);
3. ადგილობრივი მუნიციპალიტეტები უფლებამოსილნი არიან, განსაზღვრონ სპეციალური ზონები (მაგ.: ტურისტულად აქტიური ზონები და გასართობი ზონები, სადაც განთავსებულია რესტორნები, კაფეები, ბარები, ღამის კლუბები და ა.შ.), რომელთა მიმართ შეუძლიათ დააწესონ ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებისაგან განსხვავებული რეჟიმი.
4. საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და მათი განაშენიანების ტერიტორიაზე აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების დაცვის ზედამხედველობას ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი კომპეტენციის მქონე სახელმწიფო ან/და მუნიციპალური ორგანო.
5. აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებაზე პასუხისმგებელია ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის შედეგად საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და მათი განაშენიანების ტერიტორიაზე ხმაურის დონე აღემატება №1 დანართით დადგენილ ნორმებს.
6. თუ საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და მათი განაშენიანების ტერიტორიებზე ფიქსირდება ან მოსალოდნელია ხმაურის

მაჩვენებლები, რომლებიც აღემატება (მოსალოდნელია აღემატებოდეს) №1 დანართით განსაზღვრულ მნიშვნელობებს, მაშინ ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირებმა, რომელთა საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება ხმაური, უნდა უზრუნველყონ ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლით განსაზღვრული ხმაურის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება.

ხმაურის არახელსაყრელი ზემოქმედების პროფილაქტიკის ღონისძიებები

1. ხმაურის საწინააღმდეგო ღონისძიებათა ძირითადი მიმართულებებია:
 - ა) ხმაურის წყაროში – საინჟინრო-ტექნიკური და ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული ღონისძიებები;
 - ბ) ხმაურის გავრცელების გზაზე (ხმაურის წყაროდან ობიექტამდე) – ქალაქთმშენებლობისა და სამშენებლო-აკუსტიკური მეთოდები;
 - გ) ხმაურისაგან დასაცავ ობიექტზე – შენობის კონსტრუქციების ხმაურსაიზოლაციო და ხმაურმშთანთქმელი თვისებების გაზრდის კონსტრუქციულ-სამშენებლო მეთოდები და არქიტექტურულ-გეგმარებითი მეთოდები.
2. აკუსტიკური ხმაურის მავნე მოქმედებისაგან მოსახლეობის დაცვა ხორციელდება საინჟინრო-ტექნიკური, არქიტექტურულ-გეგმარებითი და ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული ღონისძიებებით.
3. ხმაურის საწინააღმდეგო საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებებია: ბგერის იზოლაცია, შენობების აკუსტიკურად რაციონალური მოცულობით-გეგმარებითი გადაწყვეტა, ჰაერის ვენტილაციისა და კონდიციონერების სისტემებში ჩამხშობების გამოყენება, სათავსების აკუსტიკური დამუშავება, ხმაურის შემცირება ობიექტებზე სპეციალური ეკრანებითა და მწვანე ნარგავებით და ა.შ..
4. ხმაურის საწინააღმდეგო არქიტექტურულ-გეგმარებითი ღონისძიებებია: საცხოვრებელი განაშენიანებისაგან ხმაურის წყაროს დაცილება, ხმაურის წყაროსა და საცხოვრებელ განაშენიანებას შორის ხმაურდამცავი ეკრანების განთავსება, საცხოვრებელი სახლების დაჯგუფების რაციონალური სქემის გამოყენება (ხმაურის წყაროსაგან დახურული ან ნახევრად დახურული შიდა სივრცის შექმნა) და ა.შ..
5. ხმაურისაგან დაცვის ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული ღონისძიებებია, მაგალითად, ტრანსპორტის ხმაურიანი სახეების მაგისტრალებზე ღამის საათებში ექსპლოატაციის შეზღუდვა, ხმაურიანი რეაქტიული თვითმფრინავების (რომლებიც ქმნიან 80დბA-ზე მეტ ხმაურს) უპირატესად დღისით ექსპლოატაცია.

ხმაური არის სხვადასხვა სიხშირის და ინტენსივობის ბგერების მოუწესრიგებელი ერთობლიობა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მავნე ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე. ხმაურის წყარო შეიძლება იყოს ნებისმიერი პროცესი, რომელსაც მყარ, თხევად ან აიროვან გარემოში შეუძლია გამოიწვიოს წნევა ან

მექანიკური რხევები. ხმაურს გააჩნია განსაზღვრული სიხშირე ან სპექტრი, რომელიც გამოისახება ჰერცებში და ბგერითი წნევის დონის ინტენსივობა, რომელიც იზომება დეციბელებში. ადამიანის სმენას შეუძლია გაარჩიოს ბგერის ის სიხშირეები, რომლებიც იცვლებიან 16-დან 20000 ჰერცის ფარგლებში.

ხმაურის გაზომვა, ანალიზი და სპექტრის რეგისტრაცია ხდება სპეციალური იარაღებით, როგორცაა: ხმაურმზომი და დამხმარე ხელსაწყოები (ხმაურის დონის თვითმწერი მაგნიტოფონი, ოსცილოგრაფი, სტატისტიკური გამანაწილებლების ანალიზატორი, დოზიმეტრი და სხვა).

ხმაურის ინტენსივობის (დონის) გასაზომად უფრო ხშირად იყენებენ ლოგარითმულ სკალას, რომელშიც ყოველი საფეხური 10-ჯერ მეტია წინანდელზე. ხმაურის ორი დონის ასეთ თანაფარდობას უწოდებენ ბელს (ბ). ის განისაზღვრება ფორმულით:

$$I_b = \lg(I/I_0)$$

სადაც I – ბგერითი წნევის განსახილველი დონეა, პა;

I_0 – ადამიანის ყურის სმენადობის ზღვარია და უდრის $2 \cdot 10^{-5}$ პა.

ერთიანი და თანაბრადდამორებული წერტილებისათვის ხმაურის ჯამური (L_x) დონე გამოითვლება ფორმულით:

$$L_x = L_1 + 10 \lg n, \text{ დბ} \quad (2.1)$$

სადაც L_1 – ერთი წყაროდან ხმაურის დონეა, დბ ($1 \text{ დბ} = 10 \text{ ბ}$)

n – ხმაურის წყაროს რიცხვია.

$10 \lg n$ არის ხმაურის ერთი წყაროს დონის დანამატი სიდიდე.

ხმაური ინტენსივობის მიხედვით იყოფა სამ ჯგუფად:

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი ხმაური, რომლის ინტენსივობა აღწევს 80 დბ-ს. ასეთი ინტენსივობის ხმაური ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო არ არის.

მეორე ჯგუფს მიაკუთვნებენ ისეთ ხმაურს, რომლის ინტენსივობა მერყეობს 80-დან 135 დბ. ერთი დღელამის და მეტი დროის განმავლობაში, ასეთი ხმაურის ზემოქმედება იწვევს ადამიანის სმენის დაქვეითებას, ასევე შრომის-უნარიანობის დაწე-ვას 10-30%-ით.

ხმაური, რომლის ინტენსივობა მეტია 135 დბ მიეკუთვნება მესამე ჯგუფს და ყველაზე სახიფათოა. ასეთ ხმაურს იწვევს აირტურბინული გენერატორები (კონტინერების გარეშე). 135 დბ-ზე მეტი ხმაურის სისტემატური ზემოქმედება (8-12 საათის განმავლობაში) იწვევს ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებას, შრომის ნაყოფიერების მკვეთრ შემცირებას. ასეთ ხმაურს შეუძლია გამოიწვიოს ლეტალური შემთხვევებიც.

ცხრილი 9.8.1 - აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და მათი განაშენიანების ტერიტორიებზე.

#	სათავსებისა და ტერიტორიების გამოყენებითი ფუნქციები	დასაშვები ნორმები		
		Lდღე (დბA)		Lღამე (დბA)
		დღე	ღამე	
1.	სასწავლო დაწესებულებები და სამკითხველოები	35	35	35
2.	სამედიცინო დაწესებულებების სამკურნალო კაბინეტები	40	40	40
3.	საცხოვრებელი და საძილე სათავსები	35	30	30
4.	სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების სამკურნალო და სარეაბილიტაციო პალატები	35	30	30
5.	სასტუმროების/ სასტუმრო სახლების/ მოტელის ნომრები	40	35	35
6.	სავაჭრო დარბაზები და მისაღები სათავსები	55	55	55
7.	რესტორნების, ბარების, კაფეების დარბაზები	50	50	50
8.	მაყურებლის/მსმენელის დარბაზები და საკრალური სათავსები	30	30	30
9.	სპორტული დარბაზები და აუზები	55	55	55
10.	მცირე ზომის ოფისების (≤ 100 მ) სამუშაო სათავსები და სათავსები საოფისე ტექნიკის გარეშე	40	40	40
11.	დიდი ზომის ოფისების (≥ 100 მ) სამუშაო სათავსები და სათავსები საოფისე ტექნიკით	45	45	45
12.	სათათბირო სათავსები	35	35	35
13.	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან დაბალსართულიან (სართულების რაოდენობა ≤ 6) საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებს, საბავშვო და სოციალური მომსახურების ობიექტებს	50	45	40
14.	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს (სართულების რაოდენობა > 6), კულტურულ, საგანმათლებლო, ადმინისტრაციულ და სამეცნიერო დაწესებულებებს	55	50	45
15.	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან სასტუმროებს, სავაჭრო, მომსახურების, სპორტულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს	60	55	50

შენიშვნა:

1. იმ შემთხვევაში, თუ როგორც შიდა, ისე გარე წყაროების მიერ წარმოქმნილი ხმაური იმპულსური ან ტონალური ხასიათისაა, ნორმატივად ითვლება ცხრილში მითითებულ მნიშვნელობაზე 5 დბ A-ით ნაკლები სიდიდე.
2. აკუსტიკური ხმაურის ზემოაღნიშნული დასაშვები ნორმები დადგენილია სათავსის ნორმალური ფუნქციონირების პირობებისთვის, ანუ, როცა სათავსში დახურულია კარები და ფანჯრები (გამონაკლისია ჩაშენებული სავენტილაციო არხები), ჩართულია ვენტილაციის, კონდიციონერების, ასევე განათების მოწყობილობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ამასთან, ფუნქციური (ფონური) ხმაური (მაგ., ჩართული მუსიკა, მომუშავეთა და ვიზიტორთა საუბარი) გათვალისწინებული არ არის.

საწარმოს მუშაობის პროცესს თან სდევს ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ადამიანებზე. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წყაროს წარმოადგენენ ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები (ჩაქუჩი, წისქვილი).

საწარმოში დაგეგმილი დანადგარები, რომლებიც წარმოადგენენ ხმაურის წყაროს, თითოეული მათგანისათვის არ აღემატება 40 დეციბელს.

საწარმოს ტერიტორიიდან r – მანძილისათვის ბგერითი სიმძლავრის დონეების სიდიდეები ხმაურის დამცავი საშუალებების გარეშე მოცემულია. ცხრილში N9.8.2.

ცხრილი N9.8.2

ბგერითი სიმძლავრის დონეები

ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირე (ჰც)	ბგერითი წნევის დონეები დეციბალებში, საწარმოდან r მანძილზე (მ)						
	50	100	150	200	250	300	320
63	52.30	47.10	42.10	37.40	32.00	29.70	26.50
125	52.20	46.80	42.00	37.00	31.70	29.60	26.10
250	52.00	46.50	41.70	36.70	34.50	29.10	25.80
500	51.70	46.10	41.50	36.50	34.20	28.50	25.40
1000	51.40	45.70	41.30	36.10	33.90	28.20	25.10
2000	51.10	45.50	41.00	35.70	33.70	27.50	25.00
4000	50.50	45.10	40.60	35.10	33.30	27.30	24.70
8000	50.10	44.90	40.10	34.20	32.80	27.00	24.50

გარდა ამისა ბგერის გავრცელების სიჩქარე დამოკიდებულია ჰაერის ტემპერატურასა და ქარის სიჩქარეზე, ხოლო ბგერის ჩახშობა განისაზღვრება ადგილის რელიეფით და ჰაერის ტენიანობით. ყოველივე აღნიშნული გათვა-ლისწინებული იქნება აკუსტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავების დროს.

როგორც ცხრილი 9.8.2-დან ჩანს, ხმაურის დონე საწარმოდან 320 მეტრში ნორმაზე ნაკლებია, შესაბამისად, საქმიანობის ეტაპზე, ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

რაც შეეხება სამშენებლო სამუშაოებს, როგორც უკვე აღინიშნა, დაგეგმილია დაახლოებით 3 თვის განმავლობაში და განხორციელდება დღის საათებში კანონმდებლობის სრული დაცვით, შესაბამისად საწარმოს მოწყობის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

9.9 ზემოქმედება მიწისქვეშა გრუნტის წყლებზე

გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოო პროცესი დაგეგმილია მობეტონებულ გადახურულ შენობაში, ამასთან ტექნოლოგიური პროცესი არ ითვალისწინებს მავნე და სახიფათო ნივთიერებების გამოყენებას, შენობის მიმდებარედ წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების გრუნტში ჩაშვება არ გამოიწვევს რაიმე სახის უარყოფით ზემოქმედებას გრუნტის წყლებზე. ამასთან დაგეგმილია შენობის მიმდებარე ტერიტორიის მოხრეშვა.

იმ შემთხვევაში თუ რაიმე სახით მოხდება ტერიტორიის დაბინძურება სახიფათო ნივთიერებით, დაბინძურებული ხრეშის ფენა მოიხსნება და მოთავსდება შესაბამის კონტეინერში და მისი მართვა მოხდება, როგორც სახიფათო ნარჩენი.

9.10 ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე

საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 1.25 კმ-ში მიედინება მდ. არაგვი. ხოლო ტერიტორიიდან დაახლოებით 500 მეტრში მდებარეობს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნტი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი რომელზეც განთავსებულია წყალსაცავები. თუმცა აღნიშნული ზედაპირული წყლის ობიექტების დაშორების მანძილის გათვალისწინებით პროექტის განხორციელების ეტაპზე მათზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

9.11 კუმულაციური ზემოქმედება

აღსანიშნავია, რომ მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, 500 მეტრიანი რადიუსის ზონაში, მსგავსი ტიპის საწარმოები განთავსებული არ არის, შესაბამისად საწარმოს ფუნქციონირების ეტაპზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

10. დანართი 1 - მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან



მიწის (კმრთე ქონების) საკადასტრო კოდი **N 72.06.02.039.605**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022813599 - 07/11/2022 10:39:04

მომზადების თარიღი
16/11/2022 10:49:51

საკუთრების განყოფილება

მონა მცხეთა	სექტორი საგურამო	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
72	06	02	039/605	ნაკვეთის დანიშნულება: არსისათვის სამკურნელო დამუსტგებული ფართობი: 5429.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: შენიშვნა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1, N2

მისამართი: მცხეთა , სოფელი საგურამო

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882022611056 , თარიღი 24/08/2022 13:54:08
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 25/08/2022

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ხელშეკრულება (კმრთე ქონების ნასყიდობის შესახებ) , დამოწმების თარიღი: 25/08/2022 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრები:

ჩაური ცხადაძე , P/N: 01019001384

მესაკუთრე:

ჩაური ცხადაძე

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირაუნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ვალიდა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

* ფიკრი პრის მერ 2 წლამდე ვადას საკონტრაქტო ანტი-დოპინგის რეგულაციის, აგრეთვე საგადასახადო წესის განხორციელებაში 1000 ლარის ან მეტო დანებულების ქონების საჩუქროდ მიღების სამსახირო გადასახადო გადახდას ექვემდებარება საინფორმაციო წესის მომსახირო წესის 1 პარაგრაფი, რას შუახიბრებო ადინმრედი ფიკრი პრის მიხედვით ვადას წარუდგენს დეკლარაციის საგადასახადო ინფორმაციის, ადინმრედი ვადას წესის მოქმედებების წარმოადგენს საგადასახადო სამართლებრივი წესი, რაც ანუკვირს პასუხისმგებლობის საჩუქროდ საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით.*

- დეკლარაციის მიხედვით გადასახადის შესახებ გადასახადის საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს საუბრით ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამინფორმაციის მიღება შესახებ გადასახადის ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გვერდით ვებ-გვერდით საინფორმაციო საჩუქროდ, ანუკვირის მიხედვით და სააგენტოს ანტი-დოპინგის პარტიის;
- ამინფორმაციის გვერდით ხარვეზის აღმნიშვნის შემთხვევაში დეკლარაციის 2 405405 ან პრადიდ შუახირო განიხილო ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესახებ გადასახადის სახელის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეგისტრის თანამშრომელთა მნიშვნის უკონფიდენციალურობის შემთხვევაში დეკლარაციის ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინფორმაციო ნებისმიერ საკითხის დეკლარაციის მოქმედების ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

11. დანართი 2 - საიჯარო ხელშეკრულება

საიჯარო ხელშეკრულება

ქ. თბილისი 17. იანვარი, 2023წ.

მეერთის მხრივ ზაურ ცხადაძე პ/ნ 01019001384(შემდგომში მეიჯარე), ხოლო მეორეს მხრივ შპს ბ.ა.ლ. გრუპის ს/კ 400185759 დირექტორი დავით ბუიძე (შემდგომში მოიჯარე) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მეიჯარემ გადასცა თავისი კუთვნილი მიწის ფართი შემდეგ მისამართზე: მცხეთა სოფ. საგურამოში რომლის საკადასტრო კოდია (72.06.02.039.605) დროებით სარგებლობაში.

2. საიჯარო ქირა, ვადები და მისი გადახდის პირობები.

2.1 მოიჯარე იხდის საიჯარო ქირას მიწის ფართობის სარგებლობისათვის ხელშეკრულების დადების დღიდან ყოველი გადასახდელი თვის 20 რიცხვამდე. საიჯარო ქირა შეადგენს 500 ლარს.

2.2 ხელშეკრულება დადებულია 9 თვის ვადით და ძალაშია 18.01.2023წლიდან 18.10.2023წლამდე. მისი მოქმედება შეიძლება გაგრძელდეს მხარეთა მეთანხმებით დამატებითი ხელშეკრულების დადებით.

3. მხარეთა ვალდებულებები და უფლება-მოვალეობანი.

3.1 მეიჯარე ვალდებულია საიჯარო მიწის ნაკვეთი გადასცეს მოიჯარეს ვარგის მდგომარეობაში.


მხარეთა შორის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომენტიდან გადასცეს მოიჯარეს იჯარის ობიექტი კერძოდ (მიწის ნაკვეთი) დავალიანების გარეშე.

მეიჯარეს უფლება აქვს:

3.2 მოითხოვოს საიჯარო ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება:
 _თუ მოიჯარე არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
 _თუ მოიჯარე განზრახ ან დაუდევრობით აუარესებს საიჯარო ქონებას, რითაც ქონებრივი ან მატერიალური ზარალი ადგება იჯარით აღებულ ფართს.

მოიჯარეს უფლება აქვს:

3.3 არსებული ნორმების დაცვით დაამონტაჟოს მის მიერ იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთში ს/კ (72.06.02.039.605) ყველა აუცილებელი ტექნიკური მოწყობილობა, მანქანა დანადგარები. ხოლო ხელშეკრულების დასრულებისას მოახდინოს მათი დემონტაჟი და წაიღოს თუ ადგილი არ აქვს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა პირობას.



3.4 მოიჯარე ვალდებულია გადაიხადოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა გადასახადი დროულად და სრული ოდენობით. არ გამოიყენოს დაქირავებული მიწის ფართი კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის.

4. მხარეთა შორის სხვა ურთიერთობები

4.1 აღნიშნული ხელშეკრულების გარშემო წარმოქმნილინყველა საკითხი, რომელიც არ მოგვარდება ურთიერთშეთანხმებით, გადაიჭრას სასამართლოს წესით მოქმედი კანონმდებლობით.

4.2 ხელშეკრულების პირობების ყოველგვარი შესწორება ან დამატება ძალაში შედის იმ შემთხვევაში თუ ისინი გაფორმებულია წერილობით, ან ხელწერილით ორივე მხარის მიერ.

4.3 ხელშეკრულება ძალაშია მასზე ხელის მოწერის მომენტიდან, რის შემდეგაც ორივე მხარე ვალდებულია დაიცვას შეთანხმების პირობები. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლიარად და ორივეს გააჩნია თანაბარი ძალა. ერთი ეგზემპლიარი ინახება მეიჯარესთან, ხოლო მეორე მოიჯარესთან.


მხარეთა რეკვიზიტები და მონაცემები

მეიჯარე:

ზაურ ცხადაძე
პ/ნ 01019001384
მის: მცხეთა ს. წოდორეთი მე-2 ქ.#17

მოიჯარე:

შპს ბ.ა.ლ. გრუპი
ს/კ 400185759
მის: ქ.თბილისი თემქა მე-3მკ. მე-3კვ. კ.41.ბ.33

ზაურ ცხადაძე 

დირ: დავით ბუციძე 



12. დანართი 3 - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19134548, 02/12/2019 11:30:29

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ბ.ა.ლ. გრუპი
სამართლებრივი ფორმა:	შემლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	400185759
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	28/09/2016
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, თემქა, III მ/რ., III კვ., კორ. 41, ბ. 33

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: ballgroup@yahoo.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მოწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა

- დირექტორი - დავით ბუიძე, 01016007499

პარტნიორები

მესაკუთრე	ნილი	ნილის მმართველი
დავით ბუიძე, 01016007499		30%
მანუილ ლუტიძე, 03001010555		30%
ვასილი დაუთაშვილი, 15001009769		40%

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge